დემენციის მართვის სფეროში საერთაშორისო გამოცდილება: ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შედარებითი მიმოხილვა

შესავალი

დემენცია XXI საუკუნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. მოსახლეობის დაბერება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და კოგნიტური დარღვევების გავრცელების მატება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სახელმწიფო ხელისუფლებებს აიძულებს შეიმუშაონ ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიმართულია დემენციის პრევენციის, ადრეული დიაგნოსტიკის, მკურნალობის, მოვლისა და სოციალური მხარდაჭერის სისტემების გაუმჯობესებისაკენ.

ავსტრალიის, ავსტრიის, კანადის, ახალი ზელანდიის, ფინეთის, საბერძნეთის, ქუვეითისა და კორეის რესპუბლიკის დემენციასთან დაკავშირებული ეროვნული პროგრამების ანალიზი აჩვენებს როგორც მნიშვნელოვან მსგავსებებს, ისე არსებით განსხვავებებს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მიდგომებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური შესაძლებლობებით, ჯანდაცვის სისტემების მოწყობითა და კულტურული ტრადიციებით, მათი სტრატეგიები ცხადყოფს მზარდ საერთაშორისო კონსენსუსს დემენციის ეფექტიანი პოლიტიკისათვის აუცილებელი ძირითადი კომპონენტების შესახებ.

დემენციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიების საერთო პრინციპები

განხილული პროგრამების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელია დემენციის, არა მხოლოდ როგორც სამედიცინო დაავადების, არამედ როგორც ფართო სოციალური მნიშვნელობის მქონე კომპლექსური გამოწვევის აღქმა. დემენცია სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ პაციენტზე, არამედ მის ოჯახზე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემებზე, შრომით რესურსებზე და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

ამიტომაც, ყველა ქვეყანა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოორდინირებულ ეროვნულ პოლიტიკას და არა ცალკეულ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ კლინიკურ ინტერვენციებს. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, სტიგმის შემცირება, ადრეული დიაგნოსტიკა, მხარდამჭერ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მომვლელთა მხარდაჭერა, პროფესიული

კადრების განვითარება და სამეცნიერო კვლევები ყველა განხილული სტრატეგიის განმეორებად და ცენტრალურ ელემენტებს წარმოადგენს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთო ტენდენციაა გადასვლა დაავადებაზე ორიენტირებული მოდელიდან ადამიანზე ორიენტირებულ ზრუნვაზე. თანამედროვე დემენციური პროგრამები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ დაავადების მართვით და სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ცხოვრების ხარისხს, პიროვნულ ავტონომიას, ღირსების დაცვას, სოციალურ ჩართულობასა და ადამიანის უფლებებს.

ყველა სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახის წევრებისა და არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერას. აღიარებულია, რომ დემენციის მქონე პირთა მოვლის ძირითადი ტვირთი უმეტეს ქვეყნებში სწორედ ოჯახზე მოდის. შესაბამისად, აუცილებელია მათი განათლება, კონსულტირება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ე.წ. respite care-ის (მომვლელთა დროებითი განტვირთვის) სერვისების განვითარება.

დაბოლოს, ყველა პროგრამა ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის, მონაცემთა სისტემატური შეგროვების, მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობას, როგორც გრძელვადიანი და მდგრადი დაგეგმვის აუცილებელ წინაპირობას.

ავსტრალია: სისტემური რეფორმის ყოვლისმომცველი მოდელი

ავსტრალიის დემენციის საწინააღმდეგო ეროვნული სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და სტრუქტურირებულ მოდელს წარმოადგენს. მისი კონცეფცია დაფუძნებულია რვა ძირითად მიმართულებაზე, რომლებიც მოიცავს პრევენციას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას, ზრუნვის კოორდინაციას, პროფესიული კადრების განვითარებას, მომვლელთა მხარდაჭერას, კვლევებსა და ინოვაციებს.

ავსტრალიური მოდელის განსაკუთრებული უპირატესობაა მისი ორიენტაცია ანგარიშვალდებულებასა და პრაქტიკულ განხორციელებაზე. სტრატეგია შეიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებს, პასუხისმგებელ სტრუქტურებსა და მონიტორინგის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას.

ამავე დროს, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დემენციური სერვისების ხელმისაწვდომობის უთანასწორობის შემცირებას, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისათვის, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობისა და სოფლის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისათვის.

პროგრამას აფინანსებს ფედერალური მთავრობა (Commonwealth Government) და შტატების/ტერიტორიების მთავრობები. დემენციის პროგრამა ინტეგრირებულია სახელმწიფო ჯანდაცვისა და ხანდაზმულთა მოვლის სისტემაში.

ავსტრია: დემენციასთან ღირსეული ცხოვრების კონცეფცია

ავსტრიის დემენციის სტრატეგია მკაფიოდ ჰუმანისტურ და სოციალურ ღირებულებებს ეფუძნება. მისი ცენტრალური იდეაა „დემენციასთან ღირსეული თანაცხოვრება“ (Living Well with Dementia).

ავსტრიული მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ ჩართულობას, ავტონომიას, თვითგამორკვევის უფლებას და პიროვნული ღირსების დაცვას. სამედიცინო მომსახურების განვითარების პარალელურად, სტრატეგია მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოებრივი გარემოს შექმნას, რომელიც დემენციის მქონე ადამიანებს საშუალებას მისცემს რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ფართო მონაწილეობა, მათ შორის დემენციის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრების, ჯანდაცვის სპეციალისტების, მკვლევრებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების ჩართულობა.

პროგრამას აფინანსებს სახელმწიფო ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემა, ფედერალური და რეგიონული (Länder) ბიუჯეტები. მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციალური დაზღვევის ფონდებსაც.

კანადა: პრევენცია, კვლევა და ცხოვრების ხარისხი

კანადის ეროვნული დემენციური სტრატეგია ეფუძნება სამ ძირითად მიზანს: დემენციის პრევენციას, ახალი თერაპიული მიდგომების განვითარებას და დემენციის მქონე ადამიანებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

სხვა ქვეყნების პროგრამებთან შედარებით, კანადა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს კვლევებს, ინოვაციებსა და ახალი ცოდნის გენერირებას. მნიშვნელოვანი რესურსები მიმართულია ეპიდემიოლოგიური მეთვალყურეობის სისტემების, ეროვნული მონაცემთა ბაზების, სამეცნიერო თანამშრომლობისა და ახალი სამკურნალო მეთოდების განვითარებისაკენ.

ამავე დროს, კანადური სტრატეგია აღიარებს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მნიშვნელობას და ცდილობს უზრუნველყოს, რომ დემენციური სერვისები ადაპტირებული იყოს ქვეყნის კულტურულ, ენობრივ და გეოგრაფიულ მრავალფეროვნებასთან.

პროგრამას აფინანსებს ფედერალური მთავრობა + პროვინციების ჯანდაცვის სისტემები. კვლევების ნაწილი ფინანსდება ეროვნული კვლევითი ფონდებიდან და სამეცნიერო სააგენტოებიდან.

ახალი ზელანდია: თემზე და კულტურაზე ორიენტირებული მიდგომა

ახალი ზელანდიის Dementia Mate Wareware Action Plan წარმოადგენს კულტურულად „მგრძნობიარე“ დემენციური პოლიტიკის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს.

პროგრამა აერთიანებს მოსახლეობის ხედვებსა და ხალხში გავრცელებულ ტერმინოლოგიას და დემენციას განიხილავს, როგორც მდგომარეობას, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდზე, არამედ ოჯახზე, თემსა და კულტურულ იდენტობაზე.

სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივი თემების ჩართულობას, პარტნიორულ თანამშრომლობასა და კულტურულად ადაპტირებული სერვისების განვითარებას. ახალი ზელანდიის გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ შესაძლებელია დემენციური პოლიტიკის მორგება კონკრეტული ქვეყნის კულტურულ თავისებურებებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შენარჩუნების პირობებში.

პროგრამას აფინანსებს ცენტრალური მთავრობა (Ministry of Health/Health New Zealand), ადგილობრივი ჯანდაცვის სტრუქტურები და თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები.

ფინეთი: დემენცია ჯანსაღი დაბერების პოლიტიკის კონტექსტში

სხვა განხილული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ფინეთის „დაბერების ეროვნული პროგრამა 2030“ უშუალოდ დემენციისადმი მიძღვნილი სტრატეგია არ არის. მიუხედავად ამისა, იგი მნიშვნელოვან წარმოდგენას გვაძლევს იმ ფართო პოლიტიკურ და სოციალურ გარემოზე, რომელიც აუცილებელია დემენციის ეფექტიანი მართვისათვის.

ფინური პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ფუნქციური შესაძლებლობების შენარჩუნებაზე, ჯანსაღი დაბერების ხელშეწყობაზე, ასაკთან ადაპტირებული საცხოვრებელი გარემოს განვითარებაზე, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერაზე, სოციალური ჩართულობის გაძლიერებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ხანდაზმულთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ფინეთის გამოცდილება განსაკუთრებულად საინტერესოა იმით, რომ დემენციას არ განიხილავს როგორც იზოლირებულ სამედიცინო პრობლემას. პირიქით, იგი ხაზს უსვამს დემენციის პოლიტიკის ინტეგრირების აუცილებლობას დაბერების, გრძელვადიანი მოვლისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის უფრო ფართო ეროვნულ სტრატეგიებთან.

პროგრამას აფინანსებს სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტები. დემენციის საკითხები ინტეგრირებულია დაბერების პოლიტიკაში და არ ფინანსდება ცალკე პროგრამის სახით.

საბერძნეთი: სტრუქტურირებული ეროვნული სამოქმედო გეგმა

საბერძნეთის დემენციასტან და ალცჰაიმერის დაავადებასტან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა განხილულ პროგრამებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დეტალურ და პრაქტიკულ აქტივობებზე ორიენტირებულ მოდელს წარმოადგენს.

დოკუმენტი მოიცავს დემენციის ეპიდემიოლოგიურ, კლინიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და საგანმანათლებლო ასპექტებს. იგი განიხილავს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სისტემებს, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს, სამეცნიერო კვლევების მდგომარეობას და დემენციის ეკონომიკურ ტვირთს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გეგმა განსაზღვრავს მოქმედების კონკრეტულ მიმართულებებს, მათ შორის პაციენტთა რეგისტრაციას, პრევენციას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, ოჯახის წევრებისა და მომვლელების მხარდაჭერას, მკურნალობისა და მოვლის გაუმჯობესებას, იურიდიული დაცვის მექანიზმების განვითარებას და პროფესიული განათლების ხელშეწყობას.

საბერძნეთის მოდელის განსაკუთრებული ღირებულებაა მისი პრაქტიკული ორიენტაცია. დოკუმენტი მოიცავს განხორციელების მექანიზმებს, ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებსა და SWOT-ანალიზს, რაც მას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დემენციის პირველ ყოვლისმომცველ ეროვნულ პროგრამას ქმნიან.

პროგრამას აფინანსებს ჯანდაცვის სამინისტრო, სოციალური დაცვის სისტემა, რეგიონული სტრუქტურები და ნაწილობრივ ევროკავშირის პროგრამები. ეროვნულ გეგმაში პირდაპირ არის განხილული დაფინანსების საკითხები.

ქუვეითი: პრაქტიკული და ოპერატიული მიდგომა

ქუვეითის „ხანდაზმულებში დემენციის ეროვნული გეგმა“ შედარებით მოკლე, თუმცა მკაფიოდ ოპერატიული ხასიათის დოკუმენტია.

გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ მიზნებს, განხორციელების ვადებსა და პასუხისმგებელ ინსტიტუციებს. მისი ძირითადი პრიორიტეტებია მოსახლეობის ინფორმირება, რისკ-ფაქტორების შემცირება, მომვლელთა მხარდაჭერა, დიაგნოსტიკური და სამკურნალო სერვისების განვითარება, პროფესიული განათლება და ინფორმაციული სისტემების შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ქუვეითის მოდელი შედარებით ნაკლებად მასშტაბურია დასავლური ქვეყნების ზოგიერთ პროგრამასთან შედარებით, იგი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დემენციის ეროვნული პოლიტიკის ეტაპობრივი ჩამოყალიბება რეალისტური, მკაფიოდ განსაზღვრული და მიღწევადი ამოცანების საფუძველზე.

პროგრამას აფინანსებს პრაქტიკულად მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტი ჯანდაცვის სამინისტროს მეშვეობით.

კორეის რესპუბლიკა: თემზე დაფუძნებული დემენციის მართვის სისტემა

კორეის რესპუბლიკამ შექმნა დემენციის მართვის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ორგანიზებული მოდელი. დღეს მოქმედებს მესამე ეროვნული გეგმა, რომელიც ეფუძნება წინა პროგრამების განხორციელების გამოცდილებას და მოიცავს მიღწეული შედეგებისა და არსებული ხარვეზების სისტემურ შეფასებას. მისი ძირითადი პრიორიტეტებია თემზე დაფუძნებული პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი მოვლის სისტემების განვითარება, ოჯახის წევრებისა და მომვლელების ტვირთის შემცირება, აგრეთვე კვლევითი და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაძლიერება.

კორეის მოდელის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარეა დემენციის ცენტრების ეროვნული ქსელი, საზოგადოებრივი პროგრამები, საკონსულტაციო ცხელი ხაზები და ეფექტიანობის შეფასების მკაფიო ინდიკატორები. ეს სისტემა დღეს დემენციის სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და სრულყოფილ მაგალითად მიიჩნევა.

პროგრამას აფინანსებს ცენტრალური მთავრობა, ეროვნული ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა (National Health Insurance) და ადგილობრივი თვითმმართველობები. დემენციის ცენტრების ქსელი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

შედარებითი ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ განხილული ქვეყნები განსხვავებულ პრიორიტეტებსა და მიდგომებს იყენებენ, მათ პროგრამებში საერთო ტენდენციებიც იკვეთება:

ავსტრალია და კორეა განსაკუთრებით გამოირჩევიან განხორციელებაზე ორიენტირებული მმართველობის მოდელებით, რომლებიც ეფუძნება მკაფიო პასუხისმგებლობებს, ანგარიშვალდებულების მექანიზმებსა და გაზომვად შედეგებს.

კანადა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეცნიერო კვლევებს, ინოვაციებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის განვითარებას.

ავსტრია ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მოდელს გვთავაზობს ადამიანის უფლებების, ღირსებისა და სოციალური ჩართულობის დაცვის თვალსაზრისით.

ახალი ზელანდია ნათლად აჩვენებს კულტურული თავისებურებებისა და თემების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას.

ფინეთი ხაზს უსვამს დემენციის პოლიტიკის ინტეგრირების აუცილებლობას დაბერების უფრო ფართო პოლიტიკაში.

საბერძნეთი გვთავაზობს პრაქტიკულ და კარგად სტრუქტურირებულ ჩარჩოს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დემენციის ეროვნული სისტემის შექმნის საწყის ეტაპზე იმყოფებიან.

ქუვეითის გამოცდილება კი ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა შესაძლებელია შედარებით მოკრძალებული, მაგრამ მკაფიოდ განსაზღვრული ოპერატიული გეგმების საშუალებით.

დასკვნა

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ დემენციის ეფექტიანი პოლიტიკა მოითხოვს სამედიცინო, სოციალური, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებების დაბალანსებულ ინტეგრაციას.

არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რომელიც ყველა ქვეყნისათვის თანაბრად გამოსადეგი იქნება. თითოეული სახელმწიფო საკუთარ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, კულტურულ და ინსტიტუციურ თავისებურებებზე მორგებულ სისტემას ქმნის.

მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც პრაქტიკულად ყველა წარმატებული პროგრამის აუცილებელ ელემენტად გვევლინება:

- მოსახლეობის ინფორმირება და სტიგმის შემცირება,
- ადრეული დიაგნოსტიკა,
- დიაგნოზის შემდგომი მხარდაჭერა,
- მომვლელთა დახმარება,
- პროფესიული კადრების მომზადება,
- კვლევებისა და მონაცემთა სისტემების განვითარება,
- მრავალსექტორული (ჯანდაცვის სისტემა, სახელმწიფო ინსტიტუტიებიუ, საზოგადოება, საგანმანათლებლო დაწესებელებები, კვლწევით ინსტიტუტები) თანამშრომლობა
- შედეგების მუდმივი შეფასება.

განხილული ეროვნული პროგრამები ქმნის მნიშვნელოვან მტკიცებულებით ბაზას იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დემენციის პოლიტიკის შექმნას ან განვითარებას გეგმავენ. მათი გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ დემენცია არ წარმოადგენს მხოლოდ ჯანდაცვის პრობლემას. იგი გაცილებით ფართო საზოგადოებრივი

გამოწვევაა, რომლის საპასუხოდაც აუცილებელია სახელმწიფოს, ჯანდაცვის სისტემის, სოციალური სექტორის, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებული და ხანგრძლივი თანამშრომლობა.